

ოქმი N 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2020 წელი, 1 ივლისი
ქ. ოზურგეთი
11.00 საათი -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე, გორდელაძე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.თოიძე, ბ.ქათამაძე, შ.გოგიბერიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ვ.ჩხაიძე, ვლ.ჩავლეშვილი, ვლ.ლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 32-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ საკრებულოს წევრებს და დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაცია 1-ივლისიდან, მთავრობის გადაწყვეტილებით, 70 წელს გადაცილებულ პენსიონერებზე პენსიის 30 ლარით გაზრდისა და ქვეყნის გარეთ სეზონურად მომუშავე მოქალაქეებისათვის, შესაბამისი დარეგისტრირების შემთხვევაში, 300 ლარით

დახმარების გაწევის თაობაზე. სთხოვა საკრებულოს წევრებს ინფორმაციის გავრცელება მოსახლეობაში და მოქალაქეების რეგისტრაციაში დახმარება.

დღის წესრიგი

22.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავჯდომარემ ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

23.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 ნოემბრის N71 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფმა განიხილა პროექტი და მხარს უჭერს მას.

10.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30-ხმით , 2-წინააღმდეგი: დ.მჟავანაძე, ბ.ქათამაძე.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო